საქმე # 200210014484190

1119855303165

თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

კერძო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

საქმე №2ბ/2997-14 **17 ივლისი, 2014 წელი**
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
ქეთევან კუჭავა (თავმჯდომარე)
მოსამართლეები:
თამარ ზამბახიძე
თინათინ ეცადაშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე.

კერძო საჩივრის ავტორი – მ. ხ.

მოწინააღმდეგე მხარე – ნ. ხ.

გასაჩივრებული განჩინება – თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

კერძო საჩივრის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საქმის განსახილველად დაბრუნება

დავის საგანი – უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის დაკისრება

სასამართლომ გამოარკვია:

თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის განჩინებით მ. ხ.-ს უარი ეთქვა მოპასუხე ნ. ხ.-ს მიმართ უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის დაკისრების თაობაზე, არ იქნა მიღებული სასამართლოს წარმოებაში.

სარჩელის მიღებაზე უარის ეფუძნება შემდეგ დასაბუთებას:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ: არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი შემცირების საფუძველი.

დადგენილია, რომ სარჩელს არ ერთვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სარჩელის ფასი განსაზღვრულია 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება დავის საგნის ღირებულების 3%-ით). არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი შემცირების საფუძველი.

ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმების მოთხოვნით თელავის რაიონულ სასამართლოში კერძო საჩივარი წარადგინა მ. ხ.-მ, რომელიც საქმესთან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.05.2014წ. განჩინებით კერძო საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად.

სააპელაციო პალატა გაეცნო რა წარმოდგენილ კერძო საჩივარს და საქმის მასალებს, მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში, მ. ხ.-ს მიერ წარდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას სასამართლომ საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დავის საგნის ღირებულების 3%-ის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე–2 მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი,

რომლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სარჩელის მიღებაზე უარის თქმას იმ შემთხვევაში, როდესაც იგი წარდგენილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმა არის დაუსაბუთებელი. პირველ ჯერზე წარდგენილი სარჩელით იგი ითხოვდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას, თუმცა მისი სარჩელი არ იქნა სასამართლოს წარმოებაში მიღებული, რაც არ გაუსაჩივრებია. კვლავ წარადგინა სარჩელი, ამჯერად უკვე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შუამდგომლობით, რასაც მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობით ასაბუთებდა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ წარდგენილ სარჩელში, როგორც სხვა სახის შუამდგომლობების გრაფაში, ისე სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესების შესაბამის ნაწილში, მოსარჩელე ითხოვდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული შუამდგომლობის დასაბუთების მიზნით უთითებდა მისი მატერიალური მდგომარეობის შესახებ გარკვეულ გარემოებებზე. მოსარჩელე ასევე აღნიშნავდა, რომ უფლება ჰქონდა ესარგებლა სამართლიანი სასამართლოთი და მისთვის მიმართვის კონსტიტუციითა და კონვენციით აღიარებული უფლებით (ს.ფ.8).

სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით, მიიჩნია რა, რომ სარჩელი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ დასაშვებობის პირობებს – არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ისე უთხრა უარი მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რომ არ უმსჯელია მოსარჩელის შუამდგომლობაზე გადაევადებინა მისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად სასამართლოს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამდენად, სასამართლო, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, შესაბამისი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასების შედეგად, წყვეტს საკითხს სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით მხარის მიმართ შეღავათის გავრცელების, ან მასზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, როგორც შუამდგომლობის დაკმაყოფილება, ისე მასზე უარის თქმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა, ასევე სასამართლოს დადგენილება.

მოცემულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და სსსკ-ის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად მისი სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს მსჯელობას სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ მოსარჩელის

შუამდგომლობის თაობაზე, ასევე განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არ არის სასამართლოს დადგენილება (დასკვნა) შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა, თუ მასზე უარის თქმის შესახებ. სასამართლოს არ შეუფასებია შუამდგომლობის დასასაბუთებლად მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები და არ უმსჯელია მათი გაზიარება-გაუზიარებლობის თაობაზე. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინებით არ ირკვევა, დასაბუთებული იყო თუ არა მხარის შუამდგომლობა და არსებობდა თუ არა მის მიმართ სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით სსსკ-ის 48-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატა, განჩინების კანონიერებას ამოწმებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რაზედაც იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლომ. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია და მასზე რაიმე გადაწყვეტილება (შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან უარის) არ გამოუტანია, რის გამოც სააპელაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს განჩინების კანონიერება. აღნიშნული გარემოება კი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს (სსსკ-ის 385-ე და 394-ე მუხლები).

კერძო საჩივრის ავტორი ასაჩივრებს რა თელავის რაიონული სასამართლოს 24.04.2014წ. განჩინებას, ითხოვს საქმე დაუბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს სარჩელის წარმოებაში მიღების მიზნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ კერძო საჩივრის ფარგლებში, სააპელაციო პალატა ამოწმებს მხოლოდ იმ საფუძვლებს, რაც გასაჩივრებული განჩინების გამოტანის წინაპირობა გახდა და ვინაიდან განჩინება შუამდგომლობაზე მსჯელობასა და შეფასებას საერთოდ არ შეიცავს, აუქმებს მას, ხოლო ის საკითხი, რამდენად დასაბუთებულია მხარის შუამდგომლობა და აკმაყოფილებს თუ არა წარდგენილი სარჩელი ფორმალური თუ შინაარსობრივი დასაშვებობის სხვა პირობებს – სსსკ–ის 178–ე მუხლის სხვა მოთხოვნებს, უნდა შეამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და საქმე სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 377-ე, 385-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ხ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თელავის რაიონული სასამართლოს 24.04.2014წ. განჩინება და სარჩელი დასაშვებობის ეტაპზე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე: **ქეთევან კუჭავა**

მოსამართლეები: **თამარ ზამბახიძე**

თინათინ ეცადაშვილი